შეფასების ანგარიში
საჩივარი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენის პროექტის თაობაზე
სოფ. ცემი, საქართველო

2006 წლის თებერვალი

მრჩეველი/ომბუდსმენის ოფისი
საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია
მულტილატერალური ინვესტიციების სავარანტიო სააგენტო

სარჩევი

შესავალი 1

საჩივარი..... 1

შეფასების დასკვნები..... 3

ხელშეკრულებები

მღვრიე წყლის ნაკადების შემცირება..... 5

ტურიზმის შემცირების კომპენსაცია 6

მრჩეველი/ომბუდსმენის რეკომენდაციები 7

შესავალი

მრჩეველი/ომბუდსმენის ოფისი (CAO) წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისა (IFC) და მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო სააგენტოს (MIGA) დამოუკიდებელ დამხმარე მექანიზმს. მრჩეველი ომბუდსმენის ოფისი უშუალოდ ანგარიშმგებელია "მსოფლიო ბანკის ჯგუფის" პრეზიდენტის მიმართ, და მისი მოვალეობაა პროექტის გამო დაზარალებული ხალხის საჩივრების პატიოსანი, ობიექტური და კონსტრუქციული გზით განხილვის ხელშეწყობა, და იმ პროექტების სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შედეგების გაუმჯობესება, რომლებშიც IFC და MIGA მონაწილეობენ. პირველ რიგში, საჩივრების მოგვარება ხდება მრჩეველი/ომბუდსმენის ოფისის მიერ. წინამდებარე შეფასების მიზანს წარმოადგენს შემდეგი:

1. საჩივარში აღძრულ საკითხებთან დაკავშირებული შეფასების მსვლელობაში შეგროვილი ფაქტების ნეიტრალური შეფასების უზრუნველყოფა.
2. შესაფერისი რეკომენდაციების მიცემა მხარეების მიერ მოცემული საჩივრის თაობაზე შეთანხმების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით.

ბაქო-თბილისი-ჯეიხანის (BTC) მთავარი საექსპორტო მოლსადენის პროექტი შეიცავს ნედლი ნავთობის მილსადენის სისტემის განვითარებას, დაფინანსებას, მშენებლობას და ოპერირებას ნავთობის ტრანსპორტირების მიზნით ბაქოს (აზერბაიჯანი) მახლობლად მდებარე სანგაჩალის ნავთობის ტერმინალიდან, საქართველოს გავლით, ჯეიხანის (თურქეთი) ახალ საექსპორტო ტერმინალში, ხმელთაშუა ზღვაზე. 1760 კილომეტრიანი მილსადენი ჩადებული იქნება მიწაში გზის მთელ მანძილზე, გაივლის რა აზერბაიჯანზე (442 კმ), საქართველოზე (248 კმ), და თურქეთზე (1070 კმ). წინასწარი მონაცემებით მილსადენით მოხდება დღეში ერთი მილიონ ბარელამდე ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება კასპიის ზღვის ჭაბურღილებიდან, რომლებიც ცნობილია როგორც, ჩირაღის (აზერბაიჯანი), გუნაშლის (ACG) წყალქვეშა საბადოები.

პროექტის სპონსორია კომპანია BTC, რომელიც წარმოადგენს 2002 წლის აგვისტოში დაარსებულ 11 პარტნიორის კონსორციუმს. ბრითიშ პეტრილეუმი (BP), რომელიც წარმოადგენს ყველაზე დიდი წილის მფლობელს (30.1 %), ახორციელებს მილსადენის ექსპლოატაციას. სხვა პარტნიორები (წილის შემცირების შესაბამისად) არიან: "სოკარი" – აზერბაიჯანის სახელმწიფო სანავთობო კომპანია (SOCAR) (25%), "იუნოკალი" (Unocal) (8.9%), "სტატოილი" (Statoil) (8.7%), TPAO -თურქეთის ნავტობის კორპორაცია (6.5%), "ენი" (Eni) (5%), "თოთალ-ფინა-ელფი" (TotalFinaElf) (5%), "ითოჩუ" (ITOCHU) (3.4%), "ინპექსი" (INPEX) (2.5%), "კონოკოფილიფსი" (ConocoPhillips) (2.5%) და "ამერადა ჰესი" (Amerada Hess) (2.3%). მილსადენის ოპერაციების მოცულობით "ბრითიშ პეტროლეუმი" აწარმოებს პროექტის დიზაინსა და მშენებლობის ფაზებს. მთელი პროექტის ღირებულება დაახლოებით 3.6 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) გროს ინვესტირება ამ პროექტში 250 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს, რომლიდანაც 125 მილიონი დოლარი კორპორაციის საკუთარი ანგარიშიდან მოდის (მას A სესხს უწოდებენ), ხოლო დანარჩენი 125 მილიონი – სინდიკატების სესხია (B სესხის პროგრამის სახელწოდებით).

მილსადენის საქართველოს სექცია იწყება გარდაბანში, აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვარზე, და გადის ქვეყნის შვიდი რაიონის ტერიტორიაზე, ბორჯომის რაიონის ჩათვლით, სადაც მდებარეობს სოფელი ცემი.

საჩივარი

2005 წლის ივნისში მრჩეველი/ომბუდსმენის ოფისმა მიიღო საჩივარი საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობის მილსადენის პროექტის თაობაზე, რომელიც შემოიტანეს ბორჯომის რაიონის სოფელი ცემის მცხოვრებლებმა. ცემის საჩივარმა დააკმაყოფილა ომბუდსმენის მოთხოვნების კრიტერიუმები, და ოფისმა გამოიკვლია ეს საჩივარი ოფისში არსებული საბუთების განხილვის გზით, რასაც მოჰყვა 2005 წლის დეკემბრის დასაწყისში საქართველოში საველე მისია.

საჩივარის საგანს წარმოადგენს: 1) სოფლის სასმელი წყლის მარაგში მღვრიე ნალექის მუდმივი არსებობა, და 2) 2004-სა და 2005 წლების ზაფხულის თვეებში ტურიზმის დაცემა წყლის პრობლემების გამო.

2004 წლის მაისში ბთჯ-ის მილსადენის მშენებლობით შედეგად წარმოქმნილმა ეროზიამ გამოიწვია გაძლიერებული ნალექები წყაროს წყალში, რომელიც სოფელ ცემს და სამ სხვა ახლომდებარე სოფელს ამარაგებს წყლით. 2004 წლის ივლისში, ბთჯ-სთან რამდენიმე მოლაპარაკების შედეგად, ბთჯ დათანხმდა, რათა აეშენებინა ახალი წყლისგამწმენდი ნაგებობა გამგებელის მიერ არჩეულ ადგილმდებარეობაზე, და დაახლოებით 3.7 კმ-ის სიგრძის წყლის ახალი მილსადენი. ამ ნაგებობის მშენებლობა, რომელიც სამი სოფლის წყლის საერთო რეზერვუარიდან 4 კმ-ის მანძილზეა, დამთავრდა 2004 წლის ოქტომბერში.

ამ სოფლების მცხოვრებლები ამბობდნენ, რომ დაახლოებით ექვსი თვის მანძილზე წყალი არ ჰქონდათ – სათაო დაგებობის მშენებლობამდე და მის განმავლობაში. მცხოვრებლებისა და ბთჯ-ს თანამშრომლების ნათქვამის თანახმად, ბთჯ-ს კომპანია წყაროს წყალს ცისტერნებით აწოდებდა სოფელ ცემს განსაზღვრულ ადგილებში ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში – 2004 წლის 20 აგვისტოდან 31 ოქტომბრამდე.

საჩივარში ნათქვამია, რომ 2004 წლის სეზონის განმავლობაში სოფელ ცემში ტურისტების რიცხვმა საგრძნობლად იკლო, როგორც სოფლის საკურორტო დაწესებულებებში, ასევე კერძო სექტორში. ამის შედეგად მცხოვრებლების უმეტესმა ნაწილმა დაკარგა შემოსავალი; ეს ფაქტები ეყრდნობა სოფელ ცემის საბჭოს არაოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს.

2005 წლის გაზაფხულის განმავლობაში, როგორც სოფლის მცხოვრებნი ამბობენ, წყლის ხარისხი გაუარესდა, რის შედეგადაც 2004 წლის ტურისტულმა სეზონმა კიდევ უფრო ძლიერი დაცემა განიცადა.

2004 წლის შემოდგომაზე მცხოვრებლები შეეცადნენ პრობლემის გადაწყვეტას ბთჯ-ს კომპანიის საზოგადოებრივ ურთიერთობათა განყოფილებაში საჩივრის რეგისტრირების გზით; საჩივარში მოითხოვდნენ სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებას, რომელშიც შევიდოდნენ სოფლის წარმომადგენლები და ბთჯ-ს საზოგადოებრივ ურთიერთიერთობათა განყოფილების წევრები, რათა ერთობლივად შეესწავლათ სოფლისათვის მიყენებული ზიანი. მათ აგრეთვე მოითხოვეს, რომ ყოველ ოჯახს მიეღო ტურისტული შემოსავლის უქონლობის კომპენსაცია. ბთჯ-მ უარყო ხსენებული მოთხოვნა 2005 წლის იანვარში იმის საფუძველზე, რომ მცხოვრებლებს არ გააჩნდათ ობიექტური სამხილები, რომლებიც დააკავშირებდა წყლის ცუდ ხარისხს ტურისტული შემოსავლის დაკარგვასთან.

2005 წლის ივნისში მრჩეველი/ომბუდსმენის ოფისში შემოტანილ საჩივარში მცხოვრებლებმა მოითხოვეს შემდეგი:

1. ჩამოყალიბდეს სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევლენ სოფლის მცხოვრებლები და ბთჯ-ს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განყოფილების თანამშრომლები, რათა ერთობლივად შეაფასონ მცხოვრებლებისათვის მიყენებული ზიანი;
2. სამუშაო ჯგუფმა შეაფასოს ყოველი ცალკეული ოჯახისათვის მიყენებული ზარალი;
3. კომპანიამ აუნაზღაუროს ყოველ ცალკეულ ოჯახს სამუშაო ჯგუფის მიერ განსაზღვრული ზარალი;
4. კომპანიამ ჩაატაროს დამატებითი საკვლევი სამუშაოები სასმელი წყლის "მოწამვლის" მიზეზების დადგენის მიზნით.

CAO-მ მიიღო განსახილველად აღნიშნული საჩივარი 2005 წლის 2 აგვისტოს. 2005 წლის დეკემბერში ჩატარდა საველე შეფასებები საქართველოში, რომელშიც შედიოდა შეხვედრები თბილისში, ცემში, ბაკურიანსა და ბორჯომში შემდეგ მხარეებთან:

თბილისი	
მწვანე ალტერნატივა	• ქეთი გუჯარაიძე • მანანა კოჭლაძე ("ბენქვოჩ ნეთვორქი")
ბთჯ-ს კომპანია	• დევიდ გლენდინინგი, კავშირგაბმილობისა და საგარეო ურთიერთობათა მენეჯერი; • მარია აიკრიგი, გარემოსა და სოციალური პროგრამების მენეჯერი; • დეივ მორგანი, საინჟინრო სამუშაოთა მენეჯერი; • ჟოზი ლემო, კორპორაციის მოვალეობათა უფროსი მრჩეველი.
ცემი	
სოფელი ცემის ოცდაოთხი მცხოვრები	ქეთინო ტაბატაძე, მარინა გოგოლაძე, ნათელა ციცქიშვილი, იზო გელაშვილი, იზო სარქისიანი, ზეინაბ ტაბატაძე, ქეთინო თედიაშვილი, ციცო გოგოლაძე, მაყვალა გოშაძე, ხათუნა ვეფხვაძე, ომარ ტაბატაძე, გივი დვალაშვილი, დარეჯან ტაბატაძე, ზაურ ტაბატაძე, მთვარისა ტაბატაძე, მზია ნოზაძე, მანანა თვარაძე, და სხვები.
ბაკურიანი	
ბთჯ-ს კომპანია	• დეივ მორგანი, საინჟინრო სამუშაოთა მენეჯერი • მერი არნესენი, საველე სოციალური კოორდინატორი • მაკა გოგია, ადგილობრივ კარშირურთიერთიერთობათა ოფიცერი
ბორჯომი	
ბორჯომის რაიონის გამგებელი	გიორგი ტალახაძე

შეფასების დასკვნები

2 დეკემბერს მრჩეველი/ომბუდსმენი შეხვდა ცემში დაახლოებით 24 მცხოვრებს საჩივარის თაობაზე მსჯელობისათვის, და ბთჯ-სთან იმ ოთხი თვის განმავლობაში მათი ურთიერთობის შესახებ სასაუბროდ, რომელიც გავიდა მათი საჩივარის მრჩეველი/ომბუდსმენის ოფისის მიერ მიღების შემდეგ. მსჯელობის ფოკუსს წარმოადგენდა საჩივარის ორი ძირითადი საკითხი: 1) დასახლების მომარაგება

მღვრიე წყლით, და როგორ შეიცვალა წყლის ხარისხი მას შემდეგ, რაც ბთჯ-მ ააგო წყლის მიმწოდებელი სისტემა, და 2) ტურიზმის დაცემა და შემოსავლების დაკლება წყლის ცუდი ხარისხის გამო.

სოფლის მცხოვრებნი ირწმუნებოდნენ, რომ მიუხედავად ახალი სათაო ნაგებობის დასრულებისა, იმ 2-კილომეტრიან მილგაყვანილობის სექციას, რომელიც ახალი სათაო ნაგებობასთან დაკავშირებული რეზერვუარიდან სოფლისკენ მოემართება, მაინც მღვრიე წყალი მოაქვს. მათ წარმოადგინეს შინ, ონკანიდან აღებული წყლის მღვრიე ნიმუშები, აღებული 2005 წლის 2 სექტემბერს და 5 ნოემბერს, - ორივე მათგანი აშკარად შეიცავდა ნალექს.

შეხვედრის მონაწილეთა განაცხადის თანახმად, ეროზია და ნალექის გაზრდილი რაოდენობა განახლდა 2005 წლის აგვისტოს თვეში, ორი თვის მერე მას შემდეგ, რაც პირველი საჩივარი გაეგზავნა CAO-ს. (ბთჯ-ის კომპანიამ დაადასტურა ეს ინფორმაცია CAO-სთან საუბრის დროს სოფლის მცხოვრებლებთან შეხვედრის შემდეგ.) რამოდენიმე თითქოს-და მოდავე მოლაპარაკების შემდგომ ბთჯ-მ გააკეთა მეორე სათაო ნაგებობა და 160 მმ დიამეტრის პლასტმასის მილი გაიყვანა წყლის ნაკადის გასწვრივ. ეს ნაგებობა დასრულდა 2005 წლის ნოემბერში. ნაგებობის მშენებლობის განმავლობაში ცემი ისევ მარაგდებოდა წყაროს წყლით, 28 აგვისტოდან 11 ნოემბრამდე.

სოფელ ცემის მცხოვრებნი ამბობენ, რომ მილგაყვანილობის დერეფნების გათხრების გამო გაძლიერებული ნალექის პერიოდების დროს ის 2-კილომეტრიანი წყალსადენი მილი, რომელიც რეზერვუარიდან მათს სოფელში შემოდის, განუწყვეტლივ განიცდიდა ზეგავლენას, და ახლა მისი გაწმენდა შეუძლებელია. მომჩივანნი ამბობენ, რომ მათ რამდენჯერმე სცადეს მისი გაწმენდა, მაგრამ უშედეგოდ, რადგან ნიადაგი აქ თიხოვანი და მძიმეა, და ძალიან ძნელია თიხამიწის მოშორება მოძველებული ფოლადის მილების შიგნიდან. მათი ნათქვამის თანახმად, ბთჯ-ის ინვესტირება ახალ ნაგებობაში მნიშვნელოვანი ძალიხმევა იყო, მაგრამ ისინი ვერ ჩათვლიან პროექტს დამთავრებულად, სანამ მათი ონკანიდან სუფთა წყალი არ იდენს.

მომჩივანნი მოითხოვენ, რომ ბთჯ-მ გაიყვანოს 2-კილომეტრიანი ახალი წყალსადენი მილი, რომლის გაყვანასაც თვითონ დაპირდნენ. მომჩივნებმა განუცხადეს CAO-ს, რომ ეს საბოლოო ნაბიჯი წყლის ხარისხის გამოსასწორებლად დააკმაყოფილებდა მათ ინტერესებს და საჩივარის ეს ნაწილი დაიხურებოდა.

რაც შეეხება ზეგავლენას ტურიზმის შემცირებაზე, სოფლის მაცხოვრებლებს მიაჩნიათ, რომ ცემში ჩამოსულთა რაოდენობა – და ამგვარად ოჯახების შემოსავალი – საგრძნობლად შემცირდა 2004 წლის დასაწყისში და გაუარესდა 2005 წელს წყლის პრობლემების გამო. ისინი მოითხოვენ ფულად კომპენსაციას ბთჯ-ს კომპანიისგან ყოველი ოჯახისათვის, რომელმაც იზარალა.

მიუხედავად იმისა, რომ მცხოვრებლებმა განაცხადეს მზადყოფნა ამ საქმის სასამართლოში წარსადგენად, იმ შემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნა ბთჯ-ს მიერ კომპენსაციის გადახდის თაობაზე დაკმაყოფილებული არ იქნება, მათ ასევე აღიარეს, რომ სასამართლო საქმის წარმატებისათვის ალბათ აუცილებელი იქნებოდა ზარალის რაოდენობრივი სამხილი.

მომჩივანნი დათანხმდნენ, რომ თუ ისინი ვერ შესძლებენ მათი ზარალის რაოდენობრივ განსაზღვრას, და წყლის ცუდ ხარისხსა და ტურიზმის შემცირებას შორის აშკარა დამოკიდებულების დემონსტრირებას, ბთჯ არ გადაიხდის კომპენსაციას.

CAO-მ ჰკითხა მომჩივანთ, თუ დააინტერესებდათ სხვაგვარი კომპენსაცია, და არა ფულადი, მაგალითად სამომავლო სტრატეგიული გეგმები რაიონში ტურიზმის აღდგენის მიზნით. სოფლის მცხოვრებნი დაეთანხმნენ, რომ ასეთი სტრატეგია დაეხმარებოდათ ტურისტული ინდუსტრიის აღდგენასა და გაუმჯობესებაში. მათ გადაწყვიტეს ჩამოაყალიბონ კომიტეტი, რომელიც შეეცდება არამარტო დაადგინოს ფულადი ზარალის რაოდენობები, არამედ ჩამოაყალიბონ აზრები და იდეები ცემში ტურიზმის განვითარებისა და დამსვენებელთა მოზიდვის მიზნით. მომჩივნებმა თქვეს, რომ ისინი იმუშავებენ "მწვანე ალტერნატივასთან" თანამშრომლობაში, რათა დაასრულონ და ბთჯ-ს წარუდგინონ განსახილველად მათი დაკარგული შემოსავლების რაოდენობრივი შეფასება.

3 დეკემბერს CAO ბორჯომში შეხვდა ბთჯ-ს ინჟინერს, რომელიც ანხორციელებდა ახლახან დასრულებული სასმელი წყლის მიწოდების ახალი სისტემის დამონტაჟებას, და ორ საზოგადოებასთან კავშიურთიერთობის ოფიცერს. ბთჯ-ს ჯგუფმა წაიყვანა CAO წყლის მიწოდების ძველი და ახალი სისტემების დასათვალიერებლად – რომლიც ამარაგებს წყლით ცემს, ტბას, ლიბანსა და სადგერს.

წყლის მიწოდების ძველი და ახალი სისტემების დათვალიერების მსვლელობაში ბთჯ-ის თანამშრომლებმა განმარტეს, რომ როცა გათხრის მახლობლად ეროზია განახლდა 2005 წლის აგვისტოში, კომპანიის თანამშრომლებსა და მცხოვრებლებს შორის რამდენიმე შეკრება ჩატარდა, რათა მიეღწიათ პრობლემის გადაწყვეტისათვის. ბთჯ-ის თანახმად, სოფლოს მცხოვრებლები თავიდან დათანხმდნენ, რათა გამოეყოთ მიწა დროებით სათაო ნაგებობასთან მისასვლელად, მაგრამ მერე უარი განაცხადეს პირობაზე. რამდენიმე შემდგომი შეკრების შედეგად, 2005 წლის ოქტომბერში მხარეები შეთანხმდნენ, რათა დაემონტაჟებინათ ახალი დროებითი სათაო ნაგებობა და 160 მმ-იანი დიამეტრის წყლის მილი ნაკადულის გასწვრივ. ამან გადაწყვიტა მიმდებარე ტერიტორიაზე მისასვლელი მიწის ნაკვეთის საკითხი, და დასაწყისი მისცა მილის გაყვანის სამუშაოებს. მას შემდეგ, რაც სამუშაოები დასრულდა 2005 წლის ნოემბერში, ბთჯ-მ გამგებელთან ერთად ჩაატარა სისტემის გაერთიანებული ინსპექტირება 2005 წლის 12 ნოემბერს. ბთჯ-მ ასევე დაადასტურა, რომ სამშენებლო სამუშაოების პერიოდში წყაროს წყალი მიეწოდებოდა მხოლოდ სოფელ ცემს, რადგან დანარჩენმა სამმა სოფელმა (ტბა, ლიბანი და სადგერი), რომლების წყალს იღებდნენ აღნიშნული რეზერვუარიდან, განაცხადა, რომ არ ესაჭიროებოდათ ცისტერნით მიწოდებული წყალი. ცემის მცხოვრებლები ამტკიცებენ, რომ ამ ოთხი სოფლიდან, მათ ყველაზე სერიოზული ზიანი განიცადეს ნავთობის მილსადენის მშენებლობით გამოწვეული ეროზიის პრობლემების გამო.

3 დეკემბერსვე CAO შეხვდა ბორჯომის რაიონის გამგებელს (მერს), გიორგი ტალახაძეს, რათა ემსჯელა საჩივარის თაობაზე, და მის სამომავლო შეხედულებებზე ცემში ტურიზმის განვითარებაზე. გამგებელმა გიორგი ტალახაძემ აღნიშნა, რომ ძალიან რთული იქნებოდა სოფლის მაცხოვრებელთათვის მათი ზარალის რაოდენობრივი დადგენა კომპენსაციის მოთხოვნის მიზნით, რადგან, როგორც ის თვლის, ისინი არ აკეთებენ ჩანაწერებს, და ვერ შესძლეს ტურიზმიდან შემოსული შემოსავლის ანგარიშის მიწოდება რაიონული საგადასახადო განყოფილებისათვის, როგორც ამას მოითხოვს რეგიონალური საგადასახადო კოდექსი. გამგებელმა აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ ცემი რთულ გარემოებებში იმყოფებოდა წყლის ხარისხის გამო, რეგიონში ტურიზმმა დაცემა განიცადა უპირველესად განუვითარებელი მომსახურების ინფრასტრუქტურისა და პროდუქტებით მომარაგებისა და კომფორტის უკმარობის გამო. მან მხარი დაუჭირა იმ აზრს, რომ სამუშაო ჯგუფის ყურადღების ცენტრში მოქცეულიყო რეგიონის ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება, და აღნიშნა, რომ ამ ძალისხმევის ნაწილი განსაკუთრებული უნდა იყოს ცემისათვის – მიეცეს ცემს კომპენსაცია უწყლო პერიოდისათვის, რადგან ეს არის მნიშვნელოვანი რეგიონი განვითარების მაღალი პოტენციალით.

5 დეკემბერს CAO თბილისში შეხვდა ბთჯ-ს წარმომადგენლებს, რათა გადაეცა მათთვის ინფორმაცია თავისი მოგზაურობისა, და მომჩივნებთან და გამგებელთან მსჯელობების თაობაზე. ბთჯ სიტყვიერად დათანხმდა უზრუნველყოს ცემში მცხოვრებთა მიერ მოთხოვნილი წყლის მილების მიტანა, იმ პირობით, რომ მცხოვრებლები თვითონ დაასრულებენ ამ მილების გაყვანას.

ხელშეკრულებები

CAO-ს საქართველოში საველე ვიზიტის დროს საჩივრის მხარეებმა მიაღწიეს რამდენიმე ხელშეკრულებას აღნიშნული საჩივარის გადაწყვეტის მიზნით. ესენია:

1. მღვრიე წყლის მარაგის შემცირება

<u>ბთჯ კომპანია</u>

- ბთჯ კომპანიას ესმის, რომ მომჩივანნი დაკმაყოფილდნენ ბთჯ-ს მიერ ანდეზიტის გამწმენდი/ფილტრაციის ნაგებობის მაღლა აშენებული წყლის ახალი მოწოდების სისტემით. ეს ახალი სისტემა არ არის მილსადენის გათხრების ტერიტორიის გავლენის ქვეშ, და მას ვერ დააზიანებს ჩამონაშალი წყლები. 2006 წლის გაზაფხულზე ბთჯ კომპანია შეცვლის დროებით სათაო ნაგებობას და მიწაში ჩააწყობს ახალ მილეგაყვანილობას, რომელიც ამჟამად მიწის ზემოთაა, იმ პირობით, რომ ცემის საკრებულო არ შეზღუდავს მიწის გამოყენებას.
- ბთჯ კომპანია უზრუნველყოფს ცემის საკრებულოს დაახლოებით 2 კმ წყლის მილებით ანდეზიტის ფილტრის ნაგებობის ქვემოთ მდებარე წყლის მილების სექციის გამოსაცვლელად.
- ბთჯ კომპანია უზრუნველყოფს მილებს უსასყიდლოდ ცემის საკრებულოსათვის იმ პირობით, რომ ცემის მცხოვრებნი თავიანთ თავზე აიღებენ ბთჯ-ს მიერ მოწოდებული მილების გაყვანის სრულ პასუხისმგებლობას.

<u>მომჩივანნი</u>

- ცემის საკრებულოს წარმომადგენლები დაუკავშირდებიან ბთჯ კომპანიის საინჟინრო მენეჯერს რათა იმსჯელონ თავიანთი მოთხოვნების თაობაზე და დაგეგმონ დაახლოებით 2 კმ სიგრძის წყლის ახალი მილების მიტანა.
- ცემის საკრებულოს წევრები და მცხოვრებნი თავის თავზე აიღებენ ახალი მილების გაყვანის სრულ პასუხისმგებლობას.
- წყლის ახალი მილების მიტანით დაკმაყოფილდება მცხოვრებთა საჩივარი ბთჯ-ს წინააღმდეგ ცემის დაბინძურებული წყლის მიწოდების შემცირებისა და შეკეთების სამუშაოების თაობაზე.

2. კომპენსაცია ტურიზმის დაცემის გამო

<u>ბთჯ კომპანია</u>

- ბთჯ კომპანია დაელოდება მომჩივანთა ანგარიშს 2004-2005 სეზონებზე ტურიზმის დაცემით გამოწვეული ზარალის რაოდენობრივი მაჩვენებლების თაობაზე, და იმ კავშირზე, რომელიც თითქოსდა არსებობს მღვრიე წყლის მოწოდებასა და ტურიზმის დაკლებას შორის. როცა მიიღებენ ამ ანგარიშს, ბთჯ შეაფასებს მოთხოვნათა რეალობას.

- ბთჯ კომპანიამ აღიარა, რომ მშენებლობით გამოწვეულმა ჩამონარეცხმა წყლებმა გაზარდეს სოფლის წყლით მომარადების სისტემაში ნალექების რაოდენობა. იმისათვის, რომ კვლავაც დაეხმაროს შექმნილი სიტუაციის გამოსწორებაში, გარდა იმ ზომებისა, რომლებიც უკვე მიიღო ამ მიმართულებით, ბთჯ კომპანია დათანხმდა მონაწილეობა მიიღოს მომჩივანთა, და ადგილობრივ და სარაიონო ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან შეკრებებში, რათა იმსჯელოს ტურიზმის განვითარების საშუალებებზე ამ რეგიონში რეკლამირების, და მედიას დახმარებით (ტელევიზია, რადიო, ნაბეჭდი).

<u>მომჩივანნი</u>

მომჩივანებმა ჩამოაყალიბეს სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება ადგილობრივი მცხოვრებლებისა და ოფიციალურ პირთაგად; ჯგუფი ერთად იმუშავებს, რათა:

- დაადგინონ ფულადი ზარალის რიცხვობრივი რაოდენობა, რომელიც განიცადეს ცემის ოჯახებმა 2004 და 2005 წლების ტურისტულ სეზონებზე მღვრიე წყლის გამო (დართული უნდა იყოა აგრეთვე 2004 და 2005 წლების შემოსავლების შედარება წინა წლების შემოსავლებთან);
- შეაგროვონ მტკიცებულებანი იმ პირთაგან, რომლებიც აპირებდნენ ცემში დარჩენას დღესასწაულების პერიოდში, მაგრამ წყლის გამო გადაწყვიტეს არ დარჩენილიყვნენ;
- გამოავლინონ ნებისმიერი სხვა სამხილი, რომელიც მათი აზრით ხელს შეუწყობს მიზეზობრივი (კაუზალური) კავშირის დადგენას მშენებლობასთან დაკავშირებულ მღვრიე წყალსა და ტურიზმის შემცირებას შორის;
- განავითარონ იდეები მომავალში ცემის რაიონში ტურიზმის მოზიდვის გზებსა და საშუალებებზე, და ბთჯ კომპანიასთან, და ადგილობრივ და რეგიონალურ ოფიციალურ პირებთან თანამშრომლობის ჩარჩოებში ამ მიმართლებით ერთობლივი მუშაობის წარმართვისათვის.

მომჩივანნი ერთობლივად იმუშავებენ "მწვანე ალტერნატივასთან", რათა შეადგინონ და მიაწოდონ აღნიშნული ანგარიში ბთჯ-სა და CAO-ს.

CAO-ს რეკომენდაციები

1. მღვრიე წყლის მარაგის შემცირება

ბთჯ კომპანიის წარმომადგენლები უნდა შეხვდნენ სოფლის მცხოვრებთა წარმომადგენლებს ცემის საკრებულოში მილგაყვანილობის თაობაზე, რათა მხარეები შეთანხმდნენ მასალების მახასიათებლებზე – მილების ტიპზე, სიგრძისა და დიამეტრის მონაცემებზე. ამ შეკრებაზე მხარეები აგრეთვე უნდა შეთანხმდნენ მილების შემოტანის თარიღზე, და მომჩივანებმა უნდა გაარკვიონ ყველა საკითხი მილების შესაფერისი გაყვანის/დამონტაჟების თაობაზე.

ბთჯ-მ უნდა გადასცეს დაპირებული მასალები მცხოვრებლებს, რომლებიც შეამოწმებენ ამ მასალებს, თუ რამდენად შეესაბამება ისინი მათ მოთხოვნებს. ბთჯ კომპანია და მცხოვრებლები მომზადებული უნდა იყვნენ წერილობითი ხელშეკრულების ხელმოსაწერად ტრანზაქციის დასრულების დასამტკიცებლად, და ამ ხელშეკრულებაში ნათქვამი იქნება აგრეთვე, რომ ცემის საკრებულო წარმოადგენს პასუხისმგებელ და მაკონტროლებელ ერთეულს მილგაყვანილობის ექსპლოატაციასა და შეკეთების სამუშაოებზე.

მომჩივანნი უნდა დაუკავშირდნენ ბთჯ კომპანიას, როცა მილების გაყვანა დასრულდება, რათა აცნობოს მას სამუშაოების წარმატებული დამთავრების შესახებ, და დაადასტუროს, რომ საჩივარი მღვრიე წყლის თაობაზე დახურულად ითვლება.

2. კომპენსაცია ტურიზმის დაცემის გამო

2006 წლის თებერვლის შუა რიცხვებისათვის მომჩივანმა მხარემ უნდა:

- წარმოადგინოს ანგარიში ბთჯ კომპანიაში და CAO-ში, რომელშიც მოცემული იქნება 2004 და 2005 წლებში მღვრიე წყლის გამო ტურიზმის შემცირებით გამოწვეული ზარალის რიცხვობრივი გამოხატულება. ანგარიში აგრეთვე უნდა შეიცავდეს 2004 და 2005 წლების შემოსავლების შედარებას წინა წლების შემოსავლებთან, თითოეული ოჯახის ტურიზმის შემოსავლების ჩანაწერებს, და ნებისმიერ მხარდამჭერ დოკუმენტაციას ადგილობრივი საგადასახადო და/ან ტურიზმის ოფიციალურ პირთაგან.
- საბოლოოდ ჩამოაყალიბოს ცემის მცხოვრებთა იდეები ცემის რაიონში ტურიზმის რეკლამირებისა და განვითარების თაობაზე. მოხსენება უნდა შეიცავდეს სულ მცირე: 1) იმ ადგილმდებარეობის განსაკუთრებულ დამახასიათებელ თვისებებსა და მიმზიდველობას, რომელსაც ადგილობრივ მცხოვრებთა აზრით რეკლამირება უნდა გაეწიოს; 2) ცემში არსებული სხვადასხვა საცხოვრებელი/დასასვენებელი ადგილების დეტალური აღწერასა და ფასებს; და 3) ნებისმიერი სარეკლამო მასალას, რომელიც მცხოვრებლებს გააჩნიათ, ანდა ამჟამად იყენებენ. ეს მოხსენება უნდა ჩაბარდეს ბთჯ კომპანიის კავშირგაბმულობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განყოფილებას, ბთჯ კომპანიის მიმართ მოთხოვნასთან ერთად, რათა კომპანიამ მოიწვიოს შეკრება ცემის მცხოვრებთა, ტურიზმის საქმეებით დაკავებულ ადგილობრივ და რეგიონალურ ოფიციალურ პირთა, და ბთჯ კომპანიის კავშირგაბმულობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა თანამშრომლების მონაწილეობით.

ბთჯ კომპანიის კავშირგაბმულობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განყოფილებამ უნდა მოიწვიოს შეკრება ზემოთ აღნიშნული მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით, რომლებიც ერთად იმსჯელებენ და განავითარებენ ტურიზმის რეკლამირების კომპანიას, რომელშიც გაერთიანებული იქნება მხარეების იდეები და ინტერესები. CAO-ს შეუძლია დახმარების გაწევა დღის წესრიგის შედგენაში ან თებერვლის შუა რიცხვებში მხარეების შეხვედრის მოწყობაში.

თავისი ვალდებულების* - ნავთობსადენი "დაეხმარებას გაუწევს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ერებს ხანგრძლივი ეკონომიკური, სოციალური და გარემოს დაცვის დარგებში" - შემდგომი გამოხატვის მიზნით, ბთჯ კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს თავისი ხელმძღვანელი როლი ერთობლივ ინიციატივაში, ამ საქმიანობაში ჩაბმულ ყველა მატერიალურად პასუხისმგებელ ოფიციალურ პირებთან ერთად, რათა რეკლამირება გაუწიოს და ხელი შეუწყოს რეგიონის ეკოლოგიურ და ტურიზმის მოზიდვის სხვა გზებს.

http://www.caspiandevelopmentandexport.com/ASP/BTC_LastingBenefit.asp